136ოეკ
852ა16016

სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 ნოემბერი 2008 №253 (3477) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი მსოფლიო ჩვენი ჯერ არ არის

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

2

დევიდ ბექემის სამთვიური 7 იანვრიდან მილანში

7

შვიდი ქულა და მოჩვენებითი სიმშვიდე

ხვალ ფორმულას ახალი ჩემპიონი ემოლება

16

ოლიმპიურ საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

77%-ით არჩეული გია ნაცვლიშვილი ოთხ წელიწადში პროგრამის 100%-ს გვპირდება

ბაჩანა ალბულაძის ფოტო

ეროვნულზე ეროვნულის მთავარი მატჩია დღეს: დინამო — ვიტ ჯორჯია

ბაბანა ფილიბერგაშვილის ფოტო

მთელი მსოფლიო ჩვენი ჯერ არ არის

ლევან კობიაშვილი: სწორ გზაზე ვდგავართ

კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებმა საქართველოს ნაკრებს ორი ქულა მოუტანა, რაც სასურველის მესამედი იყო, თუმც ისიც ვთქვათ, რომ ექტორ რაულ კუპერის გუნდმა იმედი ჩაგვისახა — კონკრეტულად, ბულგარეთთან ჩვენებმა ისე გამართულად და ახლებური ელემენტებით ითამაშეს, აქამდე რომ არ გვახსენდება. მართლაც, ბევრ კარგ სიახლეს შეამჩნევდა კაცი. საოქტომბრო შეხვედრებში ნაკრებს ლევან კობიაშვილმა უკაპიტნა, ის ერთადერთი თბილისური გოლიც მან ჩაინერა და, საერთოდაც, ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა. არადა, ხშირად გაგვიგია, ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ლიდერის თვისებებს ვერ ამჟღავნებენო და ასეც არის, მაგრამ ოქტომბრის კობიაშვილი სხვა იყო. ლევანს ბერძნეთში დავუკავშირდით, ჯერ „შალკეს“ ამბებით დავიწყეთ, მერე კი, ცხადია, ნაკრებზეც ვისაუბრეთ...



ბერძენ ფულბეგელთან ლევანი. ფოტო

— „შალკეს“ ფრეების სერია ჰქონდა და ბოლო ტურში „კარლსრუეში“ მოიგეთ. შესაძლებელია, წლეულს მაინც გახდეთ ბუნდესლიგის ჩემპიონები?

— „კარლსრუესთან“ მატჩმა თავდაჯერება უფრო შეგვიმატა, კარგად ვითამაშეთ და მოგება დავიმსახურეთ. ჩემპიონები? რა გითხრათ, ბოლო წლებში „შალკემ“ იმდენჯერ გაუშვა ჩემპიონობის შანსი, რომ... ისე, რატომაც არა, კარგი ფეხბურთელები გვყავს, მწვრთნელიც მაღალი დონისაა და ეფიქრობ, პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

— მით უმეტეს, რომ „ბაიერნი“ მთლად რიგიანად ვერ თამაშობს და „ვერდერი“ ხომ მთლად ჩავარდნილია...

— ახლა „კოტბუსთან“ გვაქვს გასვლითი მატჩი, მერე კი სწორედ „ბაიერს“ ვმასპინძლობთ. ორ მატჩში თუ ექვს ქულას აკიღებთ, მართლაც, ჩინებული იქნება.

— პირველ ადგილზე კი „ჰოფენჰაიმია“, თანაც, დიდი ანგარიშით იგებს მატჩებს. როგორ ფიქრობ, შეძლებს ეს გუნდი ჩემპიონობისთვის ბოლომდე ბრძოლას?

— მშვენიერი გუნდია და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ამ დროისთვის დამსახურებულად ლიდერობს და ყველაზე ბევრი გოლიც აქვს გატანილი. განსაკუთრებით, „ჰოფენჰაიმის“ ნახევარდაცვა და თავდასხმა გამოირჩევა. მაგრამ მაინც არ მეკერა, რომ ეს გუნდი ბოლომდე ასე სტაბილურად ითამაშებს. ჩავარდნა მთაც ექნებათ, ჯერჯერობით კი, მათი თამაში ვერმანიაში მთავარი სალაპარაკო თემაა.

— „შალკე“ უეფას თასზეც თამაშობს. სახელიანი კლუბებისთვის ეს ტურნირი მეორეხარისხოვანია ხომლე — „შალკეც“ ასეა?

— რა თქმა უნდა, უეფას თასი ჩემპიონთა ლიგას ვერ შეედრება. ჩვენი მთავარი სამიზნე ბუნდესლიგაა, მეორე მხრივ კი, უეფას თასზე რამდენმე ისეთი გრანდი გამოდის, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშს არის შეჩვეულნი — „მილანი“, „ვალენსია“, „სევილია“...

— პირადად შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— ნორმალურად ვთამაშობ. მთავარია, რომ მწვრთნელი მენდობა და „შალკესთვის“ მნიშვნელოვან ფიგურად მთვლის.

— ახლა საქართველოს ნაკრებზეც: საერთო აზრით, ლევან კობიაშვილს ბოლო წლებში ნაკრებში ასე კარგად არ უთამაშია. რას იტყვი?

— ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს ბოლო წლებში ნაკრებში თამაში ჩამეგდოს. ერთი რომ, სულ ტრავმები მაწუხებდა და მეორეც, სათვალაში თუ ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩებს მივიღებთ, მაშინ სეზონი უკვე დასრულებული იყო და ცხადია, იდეალურ ფორმაში ვერ ვიქნებოდი.

— ბულგარეთთან კარგად ითამაშა ნაკრებმა, თუმც მანამდე კვიპროსთან... რა შეიცვალა იმ ოთხ დღეში, რომ გუნდმა ასე განსხვავებული ფეხბურთი აჩვენა?

— ძალიან დიდი როლი შეასრულა იმან, რომ მოსამზადებლად დიდი დრო გვქონდა. ზედიზედ ორ საშინაო მატჩს ამატებდა აქეს დიდი პლუსი. რაც შეეხება განსხვავებას, ალბათ, იმასაც იმოქმედა, რომ კვიპროსთან თამაშის მერე ბევრს გვკრიტიკებდნენ, ბულგარეთთან კი არც დასაკარგი იყო რამე, ტაქტიკურადაც გამართულად ვითამაშეთ და ამიტომაც გამოგვივიდა კარგი მატჩი.

— მზოლოდ იღბლის ბრალია, რომ ბულგარეთს გოლი ვერ გაუტანეთ?

— იმ კონკრეტულ მატჩში სწორედ ასე იყო, თუმც არის სხვა რაღაც: რაღაცნაირად შებოჭილები ვართ. ამას ვატყობ ხოლმე, როცა მინდორზე გავდიკართ. შიშს ვერ დავარქმევ. უბრალოდ, თითქოს მთლიანად გუნდს თავდაჯერება აკლია. ეს აუცილებლად მოვა — აი, ხომ გამოჩნდა ბულგარეთთან, რომ ძლიერ გუნდთან თამაში შეგეძლია. ამას გაგრძელება უნდა მოჰყვეს.

— მეტოქის ნახევარზე პრესინგი — ეს ახალი ელემენტი იყო, რომელმაც მშვენიერად იმუშავა ბულგარეთთან. რატომ აქამდე არ იყენებდა ნაკრები ამას?

— პრესინგს შესრულება უნდა. მხოლოდ სირბილით ვერაფერს მიაღწევ, მეტოქეს ვერ დააყრთობ. სწორად უნდა გააკეთო ყველაფერი. ადრეც ყოფილა, ნაკრების მწვრთნელებს მკაცრი პრესინგის თამაში უნდოდთ, მაგრამ არ გამოდიოდა. ბულგარეთთან კი სხვა იყო — მიხარია, რომ სწორ გზაზე ვდგავართ.

— ჯგუფიდან გასვლის შანსებზე აღარ ვლაპარაკობთ...

— დღევანდელ სიტუაციაში ამაზე არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ოთხ მატჩში ორი ქულა გვაქვს, რაც ძალიან ცოტაა. ხომ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მერინა, ამ თბილისური მატჩებიდან ერთი მოგვეგო და ერთი წაგვეგო, რადგან ქულით მეტი გვექნებოდა. ისე არაფერ გამიგოს, თითქოს მიზანი არ უნდა გვქონდეს — არა, საქართველოს ნაკრებს ნამდვილად ჰყავს იმ დონის ფეხბურთელები, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა დაისახოს მიზნად, მაგრამ ახლა ეს ძნელია.

— და, შენი აზრით, მთავარი, რაც ექტორ კუპერის მოსვლის შემდეგ ნაკრებში შეიცვალა, რა არის?

— მეტი დისციპლინა. სათამაშო ასპექტშიც შეიმჩნევა კარგი სიახლეები. შედეგი არ არის, მაგრამ სწორი ფეხბურთით, კიდევ ვამბობ, ეს აუცილებლად მოვა. უბრალოდ, ცაში არ უნდა ვიფრინოთ და მიწაზე დავეშვათ. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, ნაკრებს ერთი მაგარი მატჩი ჩაუტარებია და მსოფლიო ჩვენი გვგონებია, მაგრამ მოდიოდა შემდეგ მატჩი და ყველაფერი იფუშებოდა. ბოლოს და ბოლოს, ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, ვინმეს ზემოდან რომ ვუყურთ.

ილია ნანობაშვილი

გვაზავას ოთხოვენ

იმ შემთხვევაში, თუ „ლუჩ-ენერგია“ რუსული პრემიერლიგიდან გადავარდება, ლევან გვაზავა კლუბს დატოვებს. „არადა, „კარგა ზანიჩ, ულანოვსტოკურ“ კლუბს გავარდნის „პერსპექტივა ელიმის“.

გვაზავა „ლუჩის“ საუკეთესო ფეხბურთელთაგანია და მის შესაძენად უკვე დფაცურდა ორი რუსული კლუბი, რომლებიც პირველ ლიგიდან აღზევდნენ უძლიერესებში — „როსტოვი“ და „ყუბანი“.

მოკლედ, ქართველ ნახევარმცველს უარმიერლიგობა არ ემუქრება.

ილია ნანობაშვილი

ბელგია

იუპილერლიგა

სტანდარდი 1:2 შარლიერუა

ბულგარეთი

A ჯგუფი

ჩერნომორეცი 2:0 ვარნა

სლოვენია

პრვა ლიგა

ინტერბლოკი 0:0 დომჟალე

კოპერი 3:1 დრავა

გორიცა 3:1 ნაფტა

მარიბორი 2:1 ცელიე

ვლენიე 0:1 პრიმორიე

ჩეხეთი

II დივიზიონი

ჟიჯალავა 1:0 სოკოლოვი

დუკლა 2:0 კარვინა

ბრაზილია

სერია A

ფიგუეირენსე — ფლუმინენსე

ჩაიშალა

გერმანია

I ბუნდესლიგა

ლევერკუზენი 2:0 ვოლფსბურგი

1:0 ბარნტა (56), 2:0 ჯოსლინგი (65)

II ბუნდესლიგა

ფრანკფურტი 0:3 აახენი

ფიურთი 1:1 ვეინი

III ლიგა

ბურგჰაუზენი 1:4 ერფურტი

ვუპერტალი 3:3 კიელი

დასავლეთ რეგიონალლიგა

ლაუტერნი (ბ) — ლოტე

გადაიდო

რუმინეთი

I ლიგა

ბლო�ა 2:0 პიტეშტი

კლუჟი 1:0 უნირეა

პოლი იაში 1:1 აანდურეი

ვასლუი 1:1 ბაზ ბეთანი

ყატარ

მეორე ლიგა

ალეი ოუბი

ნიუ ეინგლანდი 0:0 ჩიკაგო

ავსტრია

ბუნდესლიგა

ალაფენბერგი 0:2 რაპიდი

I ლიგა

ადმირა 3:0 გროდიგი

გრაბამორნი 2:1 ფოკლაბრუკი

ინსბრუკი 0:1 ზტ პოლტენი

ლეობენი 0:1 აუსტრია (ბ)

ზალცგურგი (ბ) 1:0 აუსტრია (ლ)

ირლანდია

პრემიერდივიზიონი

ბრეი 3:2 კოგი

დროჰედა 1:2 ფინი

დუბლინი 0:1 ბოჰემიანსი

I დივიზიონი

კილდეარი 1:2 უოტერფორდი

მონაჰანი 5:1 ლონგფორდი

შელბურნი — ფინგალი *გადადგა*

საფრანგეთი

II დივიზიონი

ანგენი 1:1 ტროა

ბასტია 2:0 სედანი

დიჟონი 1:2 ბრესტი

გენგამი 0:0 ანჟერი

რენიესი 4:3 შატრუ

ტური 4:1 აბაბო

ბულონი 2:1 კლერმონი

მეცი 2:0 ვანი

მონპელიე 1:1 ნიმი

ჰოლანდია

ერსტადივიზიონი

ალკმარი 2:3 მაასტრიხტი

ალმერი 2:1 ოსი

დენ ბოსხი 2:1 ზუნდერლანდი

იგლზი 0:0 დორდრეხტი

ჰაარლემი 3:1 ზეოლი

ჰელმონდი 1:1 ეინდჰოვენი

ომენვორდი 3:5 ვენლო

სიტარდი 2:1 ტელსტარი

ვეენდამი 2:2 ეინდჰოვენი

ვალვაიკი 1:0 ენგი

პოლონეთი

ესტრა კლასი

არკა 0:1 პოლონია (ვ)

პიაზტი 1:0 პოლონია (ბ)

ლეხი 0:0 ზლასკი



ამერელები ვულოცავთ ჩვენი ყლუბის ადმასრულებელ დირექტორ გია ჯაჯუშაძეს და ხათუნა ჯობრიძეს პირველი შვილის ქეთის დაბადებას. ახალშობილს ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა თანაუგრძნობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხაჯთა და დამკვირვებლთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ შალამბერიძეს ქმის გარდაცვალების გამო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 20 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲐ
1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2008

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ, ᲝᲚᲘᲛᲞᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲣᲫᲣᲚᲝ ᲘᲮᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲖᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲐ

წინა სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ და „დინამოს“ დაპირისპირება სასტვენით და შეიძლ დაყვანილი-ცოცხალი დასრულდა

ᲒᲐᲡᲣᲚ ტურში „ვიტ ჯორჯია“ ისვენებდა, რითაც „ლოკომოტივმა“ ისარგებლა და ცხრილის თავში წამოსულუსდა. დასვენებულ ვიტელებს კი ამ ტურში დიდი ბრძოლა ელით. ტურის ცენტრალური მატჩი „ეროვნულზეა“, ქვეყნის ჩემპიონი „დინამო“ „ვიტ ჯორჯიას“ დაუხვდება.

დინამოელები „სიონის“ დამარცხებით შესამე საფეხურზე ავიდნენ და, რა თქმა უნდა, უფრო წინ წასვლა სწყურიათ. ამ გუნდების ჯახი ყოველთვის საინტერესოა. წინა სეზონში ნესტორ მუძლაძის შეგირდებმა „ეროვნულზე“ 1:0 მოიგეს, შინ კი უგოლო ფრე ითამაშეს. იმ შეხვედრას აყალმაყალი არ აკლდა — დინამოელთა ხელმძღვანელობა მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა — არბიტრმა ლევან ვარაქინელიამ, მართლაც, საეჭვო პენალტი დანიშნა, თუმც ლუკა რაზმაძემ ხარიხას გაარტყა.

დღევანდელ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო ვიტელთაგან გიორგი მელქაძე გამოტოვებს. გუნდს ვერც ტრავმირებული გიორგი დათუნაშვილი დაეხმარება. რაინერ ცოტელის გუნდს კი დაუბრუნდება ლევან ხმალაძე, რომელმაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

უკვე მეორე სეზონია, დინამოელთა მთავარი მეგოლე მთე ვაწაძეა. წინა სეზონში მან რამდენიმე გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გუნდის ჩემპიონობაში დიდი წვლილი დაიდო. მე-20 ეროვნულში კი მან უკვე ხუთჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი და ბომბარდირობასაც ეშურება. „ვიტ ჯორჯიას“, „ლოკომოტივთან“ ერთად, ყველაზე ცოტა, 3 გოლი აქვს გაშვებული და ენახოთ, რას მოუხერხებს ვაწაძე ვიტელთა დაცვას.

გამოკვეთილი მეგოლე არ ჰყავს „ვიტ ჯორჯიას“, მაგრამ ეიჭვნობთ, ჯაბა ლიპარტიამ და ვახტანგ კვარაცხელიამ თავსატეხი მოაკლონ დინამოელებს.

ასე რომ, დღეს „ეროვნულზე“ მაგარ თამაშს ველით და თუ ტრიბუნებზე გულშემტკივართა სიმრავლეც იქნება, ამას რა აჯობებს.

ხვალ დედაქალაქში კიდევ ერთი საინტერესო მატჩია — „ლოკომოტივი“ ბოლნისის „სიონს“ მასპინძლობს.

გიორგი კაკაძის გუნდი ცხრილს თავშია და ლიდერობის განმტკიცებას შეეცდება. შვეიცარ ფორმაშია რატი აღაქმიძე და ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს 6 გოლით. იშტაზეა ლევან ცქიტაშვილიც. „ცქიტო“ გასულ ტურში დუბლიორაც ვამოიჩრნა. შემთხვევითი არ არის, რომ „ლოკომოტივს“ ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

„სიონს“ დისკვალიფიკაციამოხდილი მწვრთნელები — ოთარ კორღალიძე და გიორგი ყიფშიძე — უბრუნდებიან. ბოლნისელებს უკან დასახევი გზა არ აქვთ, თუ უნდათ, ამბიცია შეინარჩუნონ, ამ მატჩში მაქსიმუმის მიღწევა მართებთ.

ხვალ რუსთავში ცხრილის ფსკერზე მყოფი გუნდები გაეკუბრეანან.

„ოლიმპი“ ერთადერთი გუნდია, გამარჯვების გემო რომ არ იცის. ვასაკერია, მაგრამ ფაქტია, რომ მას ყველაზე ცოტა გოლიც აქვს გატანილი — გიორგი მეგრელაძე, გაგა ჩხეტიანი, კოკა მიკუჩაძე და გოგი ფოფა აქამდე უგოლოდ არიან.

ამ გუნდებს გარდა აუტსაიდერობისა, საერთო ისიც აქვთ, რომ მწვრთნელები შეეცვალათ. „ოლიმპიდან“ წასულ ხვიჩა ქასრაშვილს ვარლამ კილასონია ჩაენაცვლა, ცხინვალელებმა კი კობა ჟორჟიკაშვილის ადგილი მწვრთნელთა ტანდემს —სერგო გაბელაიასა და ვაჟა ტოგონიძეს — ჩაანაცვლეს.

რაც ჩემპიონატი დაიწყო, „ოლიმპის“ კარგ შემადგენლობაზეა ლაპარაკი, თუმც ისიც კარგად გამოწნდა, რომ მარტო გვარები ფეხბურთს არ თამაშობენ.

ბორჯომში „ბორჯომი“ სტუმრად იქნება. შეგახსენებთ, რომ სანინაო მატჩებს ახალციხის „მესხეთიც“ „ავილა ზეინკლიშვილზე“ მართავს.

კობა თეფიაშვილის შეგირდებმა გასულ ტურში მოულოდნელად მოიგეს ზუგდიდში „მგლებთან“ და ხასიათი გამოიკეთეს. ერთი ეგ არის, რომ მათ ბორის გონჩაროვი კელავ დაკლდებათ, რომელიც „ვიტ ჯორჯასთან“ გაამეცეს და გასულ ტურშიც იუქმა.

გიორგი სუხიაშვილის შეგირდები, უფულობის მიუხედავად, ადვილად არაფერს იმოპენ და წინა ტურში „ზესტაფონსაც“ კი დასცინცილეს ქულა.

თემურ მახარაძის „ზესტაფონსა“ ახალი სეზონი რიხით ვერ დაიწყო და ლიდერ „ლოკომოტივს“ უკვე შვიდი ქულით ჩამორჩება, რაც საკმაოდ დიდი ფორაა. იმერელები „აგრასთან“ უეჭველ სამ ქულას გეგმავენ. თუ გაგრელთა ბოლო მატჩებს გავიხსენებთ, ზესტაფონში ქულების ალების ძალიან მცირე შანსი აქვთ.

ნოემბერი დადგა და ამ თვეში ყველა შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

ᲜᲣᲖᲠᲘ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ლოკომოტივი	7	6	0	1	13:3	18
ვიტ ჯორჯია	7	5	1	1	8:3	16
დინამო	7	4	0	3	12:8	12
მგლები	8	4	0	4	10:8	12
ზესტაფონი	7	3	2	2	5:4	11
სიონი	7	2	3	2	6:4	9
ბორჯომი	8	2	3	3	8:12	9
მესხეთი	7	2	2	3	5:7	8
გაგრა	8	2	2	4	7:11	8
ოლიმპი	7	0	5	2	4:7	5
სპარტაკი	7	1	0	6	5:16	3

ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲚᲜᲘ:
„მესხეთი“ — ბორის გონჩაროვი; „ვიტ ჯორჯია“ — გიორგი მელქაძე

დინამო – ვიტ ჯორჯია და ლოკომოტივი – სიონი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გადაიცემა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 14 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲕᲘᲪ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: Ვ. ᲑᲣᲪᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲤᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲢᲘᲒᲜᲐᲫᲔ, Ი. ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 14 ᲡᲐᲐᲗᲘ. Ж. ᲩᲘᲜᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ — ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: Ო. ᲩᲘᲒᲐᲫᲔ, Ა. ᲒᲣᲜᲗᲐᲫᲔ, Თ. ᲮᲣᲭᲣᲐ, Ხ. ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 14 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲤᲝᲠᲚᲐᲜᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘ — ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: Ვ. ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲛᲔᲜᲗᲨᲔᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲯᲛᲯᲐᲕᲐ, ᲖᲕ. ᲐᲡᲯᲐᲠᲝᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 14 ᲡᲐᲐᲗᲘ. Ø. ᲛᲔᲡᲮᲘ

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲡᲘᲝᲜᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: Ე. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ, Ე. ᲗᲝᲛᲐᲠᲘᲐ, Ზ. ᲤᲘᲤᲘᲐ, Ე. ᲡᲘᲚᲐᲯᲐᲯᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 14 ᲡᲐᲐᲗᲘ. 15 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲐᲒᲔᲠᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — ᲒᲐᲒᲠᲐ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: Ø. ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ, Ი. ᲣᲯᲔᲑᲐ, Ჯ. ᲑᲘᲠᲐᲫᲔ, Გ. ᲙᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მრეწველობა გადაარჩენს ფეხბურთს ჭიათურაში?

საქართველოში საკლუბო ფეხბურთს რომ უკიდურესად უჭირს, ძველი ამბავია. ამასწინათ ვწერდით, რომ პირველლიგელმა „ჭიათურამ" შეიძლება არსებობა შეწყვიტოს.

ზემოიმერული კლუბი ხელფასი არ დარიგებულა და გუნდის ძირითადმა ბირთვმა წინა ტურში სამტრედიაში წასვლა იუარა. მერე კი მოხდა ის, რომ „ჭიათურა" პირტიტელი ბიჭებით „სამტრედიასთან" 0:4 განადგურდა.

ამ ზემოიმერული კლუბის პატრონი „ჭიათურმანგანუმია", რომელსაც გაჩერება ემუქრებოდა, მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ყველაფერი სასიკეთოდ მიდის და ამბობენ, ფეხბურთელებს დღე-დღეზე დაურიგებენ კუთვნილ ანაზღაურებასო.

ნუგრი ლოლაძე

არველაძეები და მარადონა სამი თვე მაინც

ბაფუნ ჯიბილაძის ფოტო

რევაზ, შოთა და არჩილ არველაძეების ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი დიდი არგენტინელი დიეგო მარადონაა და 25 ოქტომბერს ისინი მოედანზეც შეხვდნენ ერთმანეთს. ამ თემაზე „ფონდი არველაძეს" ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ არჩილ არველაძესთან, რომელსაც აქ გთავაზობთ.

— რა შთაბეჭდილებებით ხარ ამ მატჩის მერე?

— ემოციებით დავიმუხტე. მიხარია, რომ ბავშვობის ოცნება აკიხდინე, გული კი იმაზე მწყდება, რომ მატჩამდე ერთი კვირით ადრე გრიპი მქონდა, ორი დღით ადრე გამოვკანმრთელდი და კარგად ვერ მოვემზადე.

— რამდენიმე წლის წინ თქვენც აპირებდით მარადონას თბილისში ჩამოყვანას, მაგრამ ეს მაშინ არ მოხერხდა. ახლა მიდის საუბარი, რომ მარადონა მომავალ ზაფხულსაც უნდა ჩამოვიდეს თბილისში და მისი სახელობის საერთაშორისო ტურნირიც გაიმართოს. თქვენი ფონდი აპირებს ამ პროექტში მონაწილეობას?

— მომავალი გვიჭენებს. ეს პროექტი თუ დაიძერება, არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა, დიეგო მარადონას ეს სტუმრობა კი ცუდად იყო ორგანიზებული. ამ საქმისთვის მეტი ყურადღებაა საჭირო. 3 იენოსს შოთის გამოსამშვიდობებელი მატჩისთვის სამი თვე ვემზადებოდით, ახლა კი ჩამოვიდა მარადონა და ყველამ ვნახეთ, თუ როგორი ორგანიზებულიც იყო.

— აგვისტოს მოვლენებმა ფონდის საქმიანობა შეაფერხა, „საქართველოს ბანკთან" თანამშრომლობას აგრძელებთ?

— ოფისს ვეძებთ და უახლოეს მომავალში ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარდება. ჩვენს გენერალურ პარტნიორ „საქართველოს ბანკთან" ურთიერთობა გრძელდება და არანაირი დაბრკოლება არ იქნება.

არშავინი ჰელეა? რუსეთმა საქართველო გამორიცხა

ეტყობა, რუსებს მართლაც კრიშტიანუ რონალდუ ან სტივენ ჯერარდი ჰგონიათ ანდრეი არშავინი. იქაური საინფორმაციო საგაზეტოები იმას არ დასჯერდნენ, „ზენიტის" ფეხბურთელი ფიფას იგიდით წლის საუკეთესო ფეხბურთელის ამოსარჩევად 23 ნომინანტს შორის რომ დაასახელა — როგორც ჩანს, არშავინის ზეობა სურთ...

გაზეტა.რუ წერს, სამწუხაროდ, ანდრეის ყოფილი საბჭოთის ქვეყნიბიდან ნაკლები დიდი დახმარება არ ექნებაო. გეციდინებათ, გამოკითხვაში ნაკრების მწვრთნელები და კაპიტნები იღებენ მონაწილეობას.

„ევროვიზიაზე დიმა ბილანმა რომ გაიმარჯვა, ეს დიდწილად იმით, რომ საბჭოთის ყოფილი რესპუბლიკებიდან და სერბეთიდან ჰქონდა მხარდაჭერა. არშავინი კი ამბავ ლობილტებს მოკლებულია. აზერბაიჯანისა და ბელარუსის ნაკრებებს გერმანელები წვრთნიან, რომლებისთვისაც გერმანია-რუსეთის მატჩში მიხაილ ბალაკის თამაშმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე არშავინისამ. საქართველოდან მხარდაჭერა ამთავითვე შეგვიძლია გამოვრიცხოთ და უკრაინის მხარდაჭერაც კი კითხვის ნიშნის ქვეშაა — წერს რუსული ვებ-გვერდი.

დიახ, საქართველო და ბევრი სხვაც უნდა გამორიცხონ. რაღა მარტო საქართველო? რუსები ჩვეულად წაიკინწინენ და დაჩაგრულის პოზიციაც დაიჭირეს.

ილია ნანოგაფშვილი

საქართველოს ჩემპიონატი 20 პირველი ლიგა

10 ტური

აღმოსავლეთი

ნორჩი დინამო 0:1 კახეთი

1:0 ტატიაშვილი (64)

კალაძეს ვერ გაიგონა პენალტი (44)

ნორჩი დინამო: ბარიჩიევ, კალაძე, ცინცაძე, გიბუნია (გრიგალაშვილი 60), ბოკუჩავა, ბურჩანაძე, ღუთისაფრიშვილი, მამარაშვილი, შენგელია (ნაჭყებია 57), ქავთარაძე, ლაბარტყავა (კაკუნი 78)

სათადარიგონი: დეკვიძე, მეფარიძე, ედიშერაშვილი, ბურჭულაძე

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

კახეთი: ქუფარაშვილი, ხიდეშელი, ტარუაშვილი (ო. ამდუალიევი 19), მურველაშვილი, ლ. ამდუალიევი, ტეტრიაშვილი (მჭედლიშვილი 76), მელიქიშვილი, კოპაიძე, ენგაგაშვილი (ხაბაიძე 83), იმერლიშვილი, ძამუკაშვილი

სათადარიგონი: ხუციშვილი, ქობრიაშვილი

მწვრთნელი: გიგი კობაიძე

გაფრთხილება: ხიდეშელი, ენგაგაშვილი, იმერლიშვილი, მურველიშვილი

მსაჯი: მამუკა ურუშაძე

100 მაყურებელი

ჯერეთი 0:2 დინამო 2

0:1 სიხარულიძე (53), 0:2 ჩიკვაიძე (60)

ჯერეთი: ბილიხო

არსენალი ნერვიულობს

გაბარაზებულმა ემანუელ ადებაიორმა ოთხშაბათის ჩაფლავების გამო თავისანაები ღიად და დაურიდებლად გააკრიტიკა. საუბარი ლონდონის გუნდების, „არსენალისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ უზგვლიან თამაშს ეხება — 4:4. ამ შედეგის გამო „მეთოფეები“ პრემიერლიგის ლიდერ „ლივერპულს“ ექვსი ქულით ჩამორჩნენ.

ვინც ამ შეხვედრის ამბები იცის, ჯერ ერთი ისიც ეცოდინება, რომ „არსენალმა“ ხელიდან ორგოლიანი უპირატესობა გაუშვა და მეორეც, არსენ ვენგერის ბიჭები ძველებურად ერთსულოვანნი არ ჩანდნენ, ისინი ერთმანეთში კამათობდნენ.

ადებაიორმა თქვა: „ყოველდღე იმას ვიმეორებთ, რომ ქულა არ უნდა დავკარგოთ, საბოლოოდ კი მაინც ვკარგავთ. თან, ქულებს ვკარგავთ არა მარტო ცხრილის ზედა ოთხ გუნდთან, არამედ აუტსაიდერ „ტოტენჰემთანაც“. როგორღა უნდა გახდე ჩემპიონი? გუნდს, რომელიც ჩემპიონობაზე ფიქრობს ასეთი რამ არ უნდა მოსდიოდეს. ასეთი რთულად გასაკეთი თამაში ცხოვრებაში არ მქონია. ვერ მიეხვდი, როგორ მოვახერხეთ ორგოლიანი უპირატესობის ქარანთვის გატანება. ჩემთვის ეს მეტისმეტია.

როგორც ჩანს, გონების სიღრმეში ვფიქრობდით, რომ რაკიდა თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ორი ბუნთით ვიგებდით, თავი ქუდში ვქქონდა. იმედია, ამიერიდან ჭკუას ვისწავლით. მოკლედ, ისე ვარ აღელვებული, რომ ღამით დაძინებაც მიჭირს. დაველაე ერთ და იმავე ამბავთან შეჯახებით — ქულის დაკარგვა დაუშვებელია, მაგრამ ვკარგავთ“.

რამდენადაც „დელი შეიღისთვის“ გახდა ცნობილი, „ტოტენჰემთან“ მატჩის შემდეგ არსენალელი გიელ კლიშის თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი და მარჯვენე თუ მარცხნივ ყველას ბოდიშს უხდიდა, ქულები ჩემს გამო დავკარგეთო. მას ფეხი დაუცდა, რასაც „ტოტენჰემის“ მესამე გოლი მოყვა, ამან კი „ღეზები“ წაახალისა და მსაჯის წამატებულ წუთებში ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

ადებაიორი ამბობს, რომ ვენგერის ბიჭების მხნეობა „ალთან“, „სანდერლენდსა“ და „ტოტენჰემთან“ ქულების დაკარგვის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა. ტოგოელი თავდამსხმელი განგაშის ზარს სცემს და აცხადებს, რომ ეს ყველაფერი „სტოკთან“

ემანუელ ადებაიორი

უახლოეს შეხვედრაში უნდა გამოსწორდეს. „Arsenal TV“-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა:

„ბოლო შედეგმა ყველა გაგაკვიცა. გვეგონა, რომ სამი ქულის მოსაპოვებლად ყველა ღონე ვიხმარეთ, ხელში კი ერთი ქულა შეგვრჩა. საბედნიეროდ, სეზონის დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა. მომზადებიდან დასკვნების გაკეთებაა საჭირო. ყველაფერს ავკობებს, ნერვები დაიწყნაროთ, კრიტიკა მივიღოთ და ბრძოლა განვაგრძოთ“.

ბაბუნა კედია

დე ლა რედი გადარჩა

მადრიდის „რეალის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადებით, „სამეფო კლუბისა“ და ესპანეთის ნაკრების მთავარმწვრთნელს რუბენ დე ლა რედის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მადრიდელმა ფეხბურთელმა მესამედი ვიზიტიდან „რეალ უნიონთან“ სათამაო შეხვედრის მსვლელობისას უცერად გონება დაკარგა. ექიმების განცხადებით, წნევის მკვეთრმა ვარდნამ გამოიწვია, რაც, საბარაუდოდ, ფიზიკური გადაღლილობის ბრალი უნდა იყოს.

კელტური დანაკარგები

გლასგოს „სელტიკის“ ნახევრმცველი შუნსუკე ნაკამურა „მანჩესტერ იუნაიტედან“ რემპინოთა ლიგის შეხვედრაში თავის კლუბს, სავარაუდოდ, ვერ დაეხმარება. ოთხშაბათს შოტლანდიის ლიგის თასზე „კილმარნოკთან“ მატჩისას იაპონელი ფეხბურთელი ტრავმის გამო შეცკვლეს. როგორც აღმოჩნდა, ნაკამურას მარცხენა ბარძაყი აქვს დაზიანებული.

მანჩუნიანელებთან შეხვედრაში „კელტებს“ კიდევ ორი მოთამაშე დაკელდებათ — ჰოლანდიელი მცველი გლენ ლივენსი და ბერძენი ფორვარდი იორგოს სამარასი.

უიგანი სუასოს უმიზნებს

პრემიერლიგის „უიგანი“ ამრ ზაქისა და ემილიო ჰესკის შემცველებს ეძებს, რადგან, შესაძლოა, უახლოეს მომავალში მათ ამ კლუბის ბანაკის დატოვება მოუწიონ. ერთ-ერთ კანდიდატად მექსიკური „მონტერეისა“ და ჩილეს ნაკრების თავდამსხმელი უმბერტო სუასო განიხილება.

სკოლარის საზამთრო როტაცია

ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ინგლისში „არისტოკრატების“ ერთობაშად სამ ფეხბურთელთან ამირებს განმორებას. უიბლოოთა (ა), შესაძლოა, ოლბლიანთა) სიაში უეინ ბრაუნი, ფლორან მალუდა და ბრანისლავ ივანოვიჩი მოხვდნენ. „ლურჯების“ მარცხენა მცველი პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი დაინტერესებული, დიდი ხანია, მალუდაზე იტალიური „რომა“ ოცნებობს, ხოლო რაც შეეხება სერბ მცველს, ზაფხულში მისი გადაცირება „ჩელსის“ სურდა და არ არის გამორიცხული, ინგლისში ეს ტრანსფერი შედგეს კიდეც.

ჰაგის ოპერაცია გადაწყდა

ლივერკუზენის „ბაიერის“ მცველ ქარიმ ჰაგის მომავალი კვირის დასაწყისში საზარდულზე ოპერაცია ჩაუტარდება. ტუნისელი ფეხბურთელის ოპერაცია უკვე კარგა ხანია, დაგეგმილი იყო, თუმცა თარიღის დანიშვნა აქამდე ვერ ხერხდებოდა.

არჩილ კოტაბაიძე

XI ტური

დღეს

ჩელსი — სანდერლენდი
ევერტონი — ფულემი
მანჩესტერი — ჰალი
მიდლსბრო — ვესტ ჰემი
პორტსმუთი — უიგანი
სტოკი — არსენალი
ტოტენჰემი — ლივერპული
ვესტ ბრომიჩი — ბლეკბერნი

ხვალ

ბოლტონი — სიტი

ზეგ

ნიუკასლი — ასტონ ვილა

ინგლისი

რედნაპმა ტოტენჰემს გოლი უნდა გააასსენოს

„ტოტენჰემთან“ ბოლო წუთებზე ორბურთიანი სხვაობის ანაგებას „არსენალში“ არეულობა მოჰყვა. მატჩის შემდეგ გასახდელიდან წვიალ-კივილი გამოდიოდა.

არსენ ვენგერმა ცენტრალურ მცველებს ნოტაცია წაუკითხა. ორი გოლი სილვესტრს და გალასს დაბრალდათ. ერთხელ მეკარე ვერ დააზღვიეს, მეორედ კი ძალიან უკუგდებულ ბურთზე ლენონმა დასაწრო.

ვილიამ გალასი ტარავმრებულია და დღეს „სოტკთან“ ალბათ ვერ ითამაშებს. სილვესტრი კი, შესაძლოა, კოლო ტურემ შეცვალოს.

„არსენალ“ „სტოკს“ ჩემპიონატში ბოლოს 1985-ში ესტუმრად და 0:2 წაგო. ისე კი, ასოციაციის ოასზე სამი წლის წინ „ჰაბერიზე“ 2:1 მოუგო.

ჰარი რედნაპის ხელში „ტოტენჰემმა“ „ბოლტონს“ სძლია, „არსენალთან“ ქულა აიღო და დღეს დაუმარცხებელ „ლივერპულს“ დაეკვეხება, რომელთანაც 2004 წლის ივნისიდან არ მოუგია. მეტიც — „უაით ჰართ ლეინზე“ ბოლო სამ შეხვედრაში გოლიც არ გაუტანია.

„ორი კარგი მატჩი უკვე ვითამაშეთ და „ლივერპულსაც“ თუ დავამარცხებთ, ბარაქალა კვირა გამოგა“ — თქვა ჯერმეინ ჯენსმა.

სეზონში პირველი საშინაო მატჩის მოგებას შეეცდება „ევერტონი“, რომელიც „ფულემს“ უმასპინძლებს. „ევერტონსაც“ და „ფულემსაც“ 14 სექტემბრის შემდეგ არ მოუგიათ და გასულ ტურში ორივემ გაიხსენა გამარჯვების გემო. თითქმის ნახევარი საუკუნეა, „ფულემს“, „ფულინრ ჰარიდან“ ქულა არ წაუღია — სულ აგებს.

„სანდერლენდი“ „ჩელსის“ ესტუმრება და მოგებას ვინ ჩიენის, „სტეგმეორდ ბრიჯზე“ 2002 წლის მერე გოლის გატანას ამაოდ ლამობს. სკოლარის გუნდი თუ იმარჯვებს, „ლივერპულს“ გადასწრებს და პირველ ადგილზე გადავა. ჩელსელებს მიხალეი ბალაკი, დიდიე დროგბა და რიკარდუ კარვალიუ დაკალდება.

„მანჩესტერსაც“ „ჰალთან“ გადასწრებაზე აქვს თამაში. პრემიერლიგის დებიუტანტმა წონა ტურში „ჩელსისთან“ წააგო და ალბათ „ოლდ ტრეფორდიდანაც“ უქანლოდ დაბრუნდება.

„მანჩესტერმა“ ბოლო ოთხი საშინაო შეხვედრა ნულზე ძოგო, „ჰალს“ კი, ასევე სტუმრად, ბოლო ოთხივე მატჩი მოგებული აქვს.

ცუდადაა ჯანრწყო ძალას „ვესტ ჰემის“ საქმე. „ჩაკუნებში“ ზედიზედ ოთხ ტურში წააგეს და მათგან სამში ვერ გაიტანეს.

„ვესტ ჰემი“ მიდლსბროში დისკვალიფიცირებული ფორვარდის კარლტონ კოულის გარეშე ჩავა და ამ შავი ხვრიის შეწყვეტას ეცდება. გასულ სეზონში „ბორო“ „ჩაკუნებთან“ ორჯერ დამარცხდა.

აქვე ვთქვათ, რომ „მიდლსბროს“ 6 აპრილის შემდეგ შინ ფრე არ უთამაშია.

„ვესტ ჰემივით“ ოთხი მატჩის წაგება „უიგანს“, „პორტსმუთს“ ესტუმრება. მასპინძელთა ახალ მწვრთნელ ტონი ადამს სადებიუტო შეხვედრაში, ცხადია, გამარჯვება სურს. „უიგანს“ პორტსმუთში მხოლოდ ერთხელ, 2005-ში მოუგია.

ბოლოხანს მისუსტებული „ბლეკბერნი“ „ვესტ ბრომჩის“ ეწევა, სადაც ბოლოს 2002 წელს იმარჯვა. ვესტბრომჩელებმა პრემიერლიგაში ზედიზედ სამი მატჩი წააგეს, „ბლეკბერნს“ კი უკვე ოთხი ტურია, არ მოუგია.

„ბოლტონმა“ ბოლო სამ ტურში გოლი ვერ შეაგდო და „მანჩესტერ სიტის“ დაუხვედა, რომლისთვისაც ასევე ბოლო სამ საშინაო შეხვედრაში არ გაუტანია.

ვაჟა ხუციშვილი

	სულ							შინ							სტუმრად						
1 ლივერპული	10	8	2	0	15:6	9	26	5	4	1	0	8:4	4	13	5	4	1	0	7:2	5	13
2 ჩელსი	10	7	2	1	22:4	18	23	5	2	2	1	8:3	5	8	5	5	0	0	14:1	13	15
3 არსენალი	10	6	2	2	22:10	12	20	5	3	1	1	12:7	5	10	5	3	1	1	10:3	7	10
4 ასტონ ვილა	10	6	2	2	19:12	7	20	5	3	2	0	9:5	4	11	5	3	0	2	10:7	3	9
5 ჰალი	10	6	2	2	14:14	0	20	5	2	1	2	5:11	-6	7	5	4	1	0	9:3	6	13
6 მანჩესტერი	9	5	3	1	15:5	10	18	4	3	1	0	9:1	8	10	5	2	2	1	6:4	2	8
7 პორტსმუთი	10	4	2	4	10:15	-5	14	5	3	1	1	7:4	3	10	5	1	1	3	3:11	-8	4
8 სიტი	10	4	1	5	23:16	7	13	5	3	0	2	15:6	9	9	5	1	1	3	8:10	-2	4
9 მიდლსბრო	10	4	1	5	10:15	-5	13	5	3	0	2	6:8	-2	9	5	1	1	3	4:7	-3	4
10 სანდერლენდი	10	3	3	4	9:11	-2	12	5	2	1	2	5:6	-1	7	5	1	2	2	4:5	-1	5
11 ვესტ ჰემი	10	4	0	6	14:18	-4	12	5	3	0	2	10:8	2	9	5	1	0	4	4:10	-6	3
12 ევერტონი	10	3	3	4	14:19	-5	12	5	0	2	3	5:11	-6	2	5	3	1	1	9:8	1	10
13 ბლეკბერნი	10	3	3	4	11:18	-7	12	5	1	2	2	3:8	-5	5	5	2	1	2	8:10	-2	7
14 ფულემი	9	3	2	4	8:8	0	11	5	3	1	1	6:3	3	10	4	0	1	3	2:5	-3	1
15 სტოკი	10	3	1	6	11:18	-7	10	5	3	0	2	8:8	0	9	5	0	1	4	3:10	-7	1
16 ვესტ ბრომიჩი	10	3	1	6	8:16	-8	10	5	2	0	3	6:9	-3	6	5	1	1	3	2:7	-5	4
17 ნიუკასლი	10	2	3	5	12:18	-6	9	5	2	1	2	7:7	0	7	5	0	2	3	5:11	-6	2
18 უიგანი	10	2	2	6	11:15	-4	8	5	1	1	3	3:8	-5	4	5	1	1	3	8:7	1	4
19 ბოლტონი	10	2	2	6	8:13	-5	8	5	1	2	2	4:5	-1	5	5	1	0	4	4:8	-4	3
20 ბოლტონელები	10	1	3	6	11:16	-5	6	5	1	1	3	4:5	-1	4	5	0	2	3	7:11	-4	2

მძვინვარე ლიოვთან პირისპირ

გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იოაკიმ ლიოვი და ბუნდესკაპიტანი მიხაილ ბალაკი ერთმანეთს ფრანკფურტში შეხვდნენ, რაც იმითაა აღსანიშნავი, რომ ერთიხნის წინ ფეხბურთელმა ბოსის მიერ შერჩეული შემადგენლობა საჯაროდ გააკრიტიკა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრის ამბავი თავად ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა დაადასტურა, თუმცა კერძოდ რა მოხდა და რა თქვა, არ გაუმჟღავნებია.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაზე მონაწილების უფლება ბალაკმა თავისი კლუბისგან, „ჩელსისგან" საგანგებოდ აიღო. ლონდონელმა „ლურჯებმა" გერმანელი კაპიტანს საქმიანობაში გადაფრენის ნება მისცეს, მაგრამ დაბრუნებაც დაუყოვნებელივ მოსთხოვეს. გერმანელმა კლუბის მოთხოვნა პირნათლად შეასრულა.

ლიოვსა და ბალაკს შორის შავმა კატამ გასული კვირას გაირბინა, როდესაც ფუხბურთელმა ინტერვიუში განაცხადა, ჩვენს ნაკრებში მოთამაშეებს ჯეროვან პატივს არ სცემენ. კაპიტნის ამ სიტყვებმა ბუნდესწყვრონელი აღაშფოთა და განაცხადა. თავის მხრივ, ბალაკის ინტერვიუს წინ უძღოდა ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშის, ტორსტენ ფრინგსის უსიამოვნო სიტყვები. ეროვნული გუნდის ბოლო ორ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობას მიღმა დარჩენილი ფრინგსი ნაკრებიდან საერთოდ წასვლით იმუქრებოდა.

განრისხებულმა ლიოვმა ბალაკს პრესაში განცხადებით უპასუხა, სადაც პირად შეხვედრაზე დაუყოვნებელი ჩამოსვლა მოსთხოვა. რა როლს ითამაშებს ამიერიდან ბალაკი ნაკრებში, ამ შეხვედრაზე იქნება დამოკიდებულიო, ცეცხლს აკვესებდა მწვრთნელი. ბოლო დღეებში გერმანული პრესა გამოთქვამდა ეჭვს, რომ ბალაკს ნაკრებიდან არავინ გაუშვებს, თუმცა კაპიტნის სამკლავურს დაადებინებენ.

პაპუნა კ ი დ ი ა

გველი ორმაგი სტანდარტით

ლეგენდარული იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი, რომელიც კარგა ხანია, არსად გამოჩენილა, „მანჩესტერ იუნაიტედის" თაკაკცის, სერ ალექს ფერგიუსონის კრიტიკით დაუბრუნდა თვალსაწიერს. საქმე ისევ და ისევ კრისტიანუ რონალდუს ეხება, უფრო სწორედ კი, პორტუგალიელის თემაზე საუბარმა სხვა ფეხბურთელის, ჯუზეპე როსის საკითხი და „იუნაიტედის" შეფის ზნეობის თემა წამოატივტივა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისის ბრწყინვალე „მილანის" შეფი ფერგიუსონის ირმაგი სტანდარტით გაუბრაზება. როდესაც რონალდუს „რეალში" გაშვება არ უნდოდა, ის ერთნაირად ლაპარაკობდა და იქცეოდა, ხოლო... თუმცა, ჯობს თავად საკის ციტატა მოვიტანოთ:

„ძალიან გამიკვირდა, როდესაც წავიკითხე სერ ალექს ფერგიუსონის სიტყვები, „რეალი" ჯენტლმენი კლუბი არ არისო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. როდესაც მან თქვა, „რეალი" ყველა სურვილის ასრულებას დაჩვეული იმიტომ არის, რომ თავის დროზე გენერალი ფრანკოს კლუბი იყოო, ყოველგვარ საზღვარს გადაცდა. მე რომ „პარმაში" ვმუშაობდი, მან ჩვენგან 16 წლის როსი წაიყვანა. იმ პერიოდში „პარმას" ფინანსურად ძალიან უჭირდა, მან კი კლუბი უბრალოდ გაძარცვა. მან კარგად იცოდა, რომ ფული და დახმარება გეკმარებოდა, მაგრამ გველივით მოიქცა და ამომავალი ვარსკვლავი ისე წაიყვანა".

შეგახსენებთ, რომ არიგო საკი თავის დროზე „რეალის" დირექტორად მუშაობდა, ხოლო დაბადებით ამერიკელი, 21 წლის ჯუზეპე როსი „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „ეილიარეალში" წლეულს გადაეიდა. მას იტალიის ნაკრებში ერთი თამაში აქვს ჩატარებული.

პ ა პ უ ნ ა კ ი დ ი ა

აბიდალი ორი კვირით დაისვენებს

ესპანური „ბარსელონას" მცველ ერიკ აბიდალს ორი კვირა დასვენება მოუწევს. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელს მარჯვენა ხელი დაზიანებული და ამჟამად კონსერვატიულ მკურნალობას გადის, თუმც, თუ შედგს მალე ვერ მიაღწიეს, შესაძლოა, ართროსკოპული ოპერაცია ჩაუტარდეს.

ლიატოს უპრაინის გარეშეც შეუძლია

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა პოლონელმა ფეხბურთელმა ვუდეკ ლიატომ განაცხადა, რომ თუ უკრაინა თავისი. პრობლემების მოგვარებას ვერ შეძლებს, პოლონეთი ევრო 2012-ს გერმანიასთან ერთად უმასპინძლებს. უკიდურეს შემთხვევაში კი, პოლონელებს დამოუკიდებლადაც შეუძლიათ ამ ტურნირის მასპინძლობა.

შეგახსენებთ, რომ ლიატომ დაკავებულ თანამდებობაზე მიხალ ლისტკევიჩი შეცვალა, რომელიც მსხვილ კორუფციულ სკანდალში გაეხვა. რაც შეეხება უკრაინას, პოლონური საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, იქ ფინანსური კრიზისის გამო ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი სამუშაოების 80 პროცენტი შეჩერებულია.

ხავი ახალს გააფორმებს

ესპანეთის ნაკრებისა და კატალონიური „ბარსელონას" ნახევარმცველი ხავი ერნანდესი კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოსაა. ფეხბურთელის აგენტი ივან კორეხა ამსზწინათ „ბარსას" სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტანის შეხვდა და მოლაპარაკება საკამოდ წარმატებულად დასრულდა. აქვე აღვნიშნთ, რომ კატალონურმა გრანდმა ახალი კონტრაქტები ხერხი ბუსკეტს, რაფაელ მარკესს, კარლეს პუიოლსა და სამუელ ეტოოსაც შესთავაზა.

უინდასი იჯარით ლიდსში

ინგლისური „ალ სიტის" ვეტერანი ფორვარდი დინ უინდასი იჯარის წესით „ლიდს უნაიტედში" გადავა, რომელიც ამჟამად პირველ ლიგაში გამოდის. 39 წლის ფეხბურთელმა „ეფუზიებმა" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა და ახალი გუნდის ძებნა დასჭირდა. „ლიდსის" გარდა, უინდასის გადაბირება „ოლდემსა" და „დონკასტერსაც" სურდათ.

ა რ ჩ ი ლ კ ო ბ ა ხ ი ძ ე

გერმანია
კლინსმანს თავი უხარია

XI ტური

გუშინ

ლევერკუზენი — ვოლფსბურგი
გუშინ გაიმართა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

დღეს

ბაიერი — არმინია
ვერდერი — ჰერტა
შტუტგარტი — კიოლნი
ჰანოვერი — ჰამბურგი
კოტბუსი — შალკე
ჰოფენჰაიმი — კარლსრუე

ხვალ

დორტმუნდი — ბოხუმი
გლადბახი — აინტრახტი

ზედიზედ სამი თამაშის მოგებით მოფერფინებული „ბაიერნის" მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა თქვა: „მერჩინა, პირველ ადგილზე ყოფილიყავით, მაგრამ სულაც არ მიკვირს „ჰოფენჰაიმის" ლიდერობა. ეს გუნდი იმსახურებს, რომ მომავალ სეზონში ბუნდესლიგა ევროთასებზე წარმოადგინოს. ჩემმა გუნდმა კი იპოვა საკუთარი თამაში, ყოველი მოგება ცხრილის თავთან გვაახლოებს და ეს ძალიან სასიხარულოა".

„ბაიერნი" ბილეფელდის „არმინას" უმასპინძლებს, რომელსაც ბოლო რვა საშინაო შეხვედრა მოუგია. მოუხხენიდან ბილეფელდელებს ქუალა 1985 წლიდან არ წაუღიათ. „არმინიამ" შარშან ფეკინტაში „ოლფსბურგს" სტუმრად რომ სძლია, მას შემდეგ გასცალა ეთხელაც ვერ იმარჯა.

„ბაიერნს" ვილი სანიოლი, ჰამთონ ალთინოფი, ფილიპ ლამი და ლუკა ტონი დააკლდება.

ერთადერთ შინმოუგებელ გუნდს, „კოტბუსს" მეგოლე დიმიტარ რანგელოვი და მცველი იგორ მიტრაკა დისკვალიფიკაციის გამო „შალკესთან" ვერ დაეხმარებიან.

„ხუმრუბს" კარლოს გროსმიულერი, გუსტავო ვარელა და კრისტიან პანდერი არ ეყოლებათ.

„კოტბუსმა" შინ ბოლოს მაისში მოიგო.

ბრემენის „ვერდერი" ბერლინის „ჰერტას" დაუხვდება, რომელიც ბოლო ორ სეზონში თოხჯერ დამარცხა. ჩემპიონთა ლიგის ორი მატჩის ჩაოვლით, „ვერდერს" ზედიზედ ექვსი თამაში არ მოუგია.

ბრემენელებს დღეს ტრავმამოშუშებული დიეგო, კლაუდიო პისარო და ალბათ მეკარე ტომ ეიზეც დაუბრუნდება, უგუ ალმეიდა კი გუნდს ვერ დაეხმარება.

„ვერდერის" გენერალურმა მენეჯერმა კლაუს ალოფსმა განაცხადა: „სასწრაფოდ უნდა გამოვფხიზლეთ. ახლა შეცდომების ერთმანეთზე გადაბრალების და მიზეზების ძიების დრო არაა. პრობლემები გვაქვს, მაგრამ საჯაროდ განხილვას არ ვაპირებ. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ვიკისროთ".

„ჰერტას" წაუგებელმა სერიამ ოთხ მატჩს უწია.

მიგრით ოთხი შეხვედრის მოგება „ჰოფენჰაიმი" ამდენივეს წამგებ „კარლსრუეს" უმასპინძლებს. ამ ოთხ მატჩში „ჰოფენჰაიმმა" 14 გოლი გაიტანა, მისმა მეტოქემ კი ერთი. „კარლსრუეს" 22 მარტის მერე გასვლაზე ფრე არ უთამაშია.

1997 წლის შემდეგ „შტუტგარტი" „კიოლნს" ათჯერ შეხვდა და, შინ თუ სტუმრად, ერთხელაც ვერ მოუგო. ორმხრივ ფეკს გუნდი ნაცხის გატეხვას დღეს შეეცდება. აღსანიშნავია, რომ „შტუტგარტმა" ბოლო ოთხ საშინაო მატჩში იმარჯვა და საკუთარ სტადიონზე 23 აგვისტოს მერე არ დამარცხებულა.

„ჰანოვერმა" 27 სექტემბერს „ბაიერნს" მოუგო და იმის მერე ფეხბურთის თამაში დაავიწყდა. გუნდს ბოლო ოთხ ტურში ორ ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა. დღეს „ჰამბურგი" ჩაკა ჰანოვერში, სადაც ბოლო ორ სეზონში გოლი არ გაუშვია. მასპინძლებს კვლავ დაკაჭდებათ მეკარე რობერტ ენკე. არნოლდ ბრუგინკი, მიხაელ ტარნატი და ვალერიან ისმაელი. „ჰამბურგს" ვერ დაეხმარებან ტომოტე ატუბა, რომელი კასტელენი, მარსელ რანსენი და ნიიკელ დე ონნგი.

10 წელია, „ბოხუმს" დორტმუნდში არ მოუგია და ახლა ისეთ ფორმაშია, რომ „ვესტფალიაშტადიონიდან" დღესაც ალბათ ვერაფერს წაიღებს. „ბოხუმმა" გასულ ტურში „ჰოფენჰაიმთან" წაადო და ზედიზედ მოუგებელ მატჩთა რიცხვი ექვსამდე გაზარდა. თავის მხრივ „დორტმუნდი" მიგრით ოთხ შეხვედრაში არ დამარცხებულა.

ვ ა ხ ტ ა ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

	სულ							შინ							სტუმრად						
1 ბოფენჰაიმი	10	7	1	2	27:15	12	22	5	4	1	0	10:2	8	13	5	3	0	2	17:13	4	9
2 ლევერკუზენი	10	7	0	3	24:11	13	21	5	3	0	2	13:6	7	9	5	4	0	1	11:5	6	12
3 ბაიერნი	10	6	2	2	17:15	2	20	5	4	1	0	9:4	5	13	5	2	1	2	8:11	-3	7
4 ბაიერნი	10	5	3	2	22:16	6	18	5	2	2	1	15:13	2	8	5	3	1	1	7:3	4	10
5 ვერდერ	10	5	3	2	14:10	4	18	5	2	2	1	8:5	3	8	5	3	1	1	6:5	1	10
6 შალკე	10	4	5	1	15:8	7	17	5	3	2	0	7:2	5	11	5	1	3	1	8:6	2	6
7 დორტმუნდი	10	4	5	1	18:15	3	17	5	1	4	0	9:6	3	7	5	3	1	1	9:9	0	10
8 ვოლფსბურგი	10	4	4	2	23:16	7	16	5	4	1	0	14:4	10	13	5	0	3	2	9:12	-3	3
9 შტუტგარტი	10	5	1	4	15:12	3	16	5	4	0	1	11:4	7	12	5	1	1	3	4:8	-4	4
10 ვერდერი	10	3	4	3	23:22	1	13	5	2	2	1	12:10	2	8	5	1	2	2	11:12	-1	5
11 კიოლნი	10	4	1	5	8:12	-4	13	5	2	1	2	3:5	-2	7	5	2	0	3	5:7	-2	6
12 აინტრახტი	10	2	3	5	11:16	-5	9	5	1	1	3	4:8	-4	4	5	1	2	2	7:8	-1	5
13 კარლსრუე	10	3	0	7	8:16	-8	9	5	2	0	3	3:7	-4	6	5	1	0	4	5:9	-4	3
14 ჰანოვერი	10	2	3	5	10:20	-10	9	5	2	2	1	9:7	2	8	5	0	1	4	1:13	-12	1
15 არმინია	10	1	5	4	11:17	-6	8	5	1	2	2	8:9	-1	5	5	0	3	2	3:8	-5	3
16 ბოხუმი	10	1	4	5	13:18	-5	7	5	1	2	2	9:10	-1	5	5	0	2	3	4:8	-4	2
17 გლადბახი	10	2	1	7	9:20	-11	7	5	2	0	3	6:8	-2	6	5	0	1	4	3:12	-9	1
18 კოტბუსი	10	1	3	6	6:15	-9	6	5	0	1	4	4:10	-6	1	5	1	2	2	2:5	-3	5

ᲓᲔᲕᲘᲓ ᲑᲔᲥᲰᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲘᲕᲘᲣᲠᲘ

ᲣᲙᲕᲔ ყველაფერი ოფიციალურია — „მილანმა“ გამოაცხადა, რომ „ლოს ანჯელეს გელექსიდან“ დევიდ ბექემი იქცარავა. იტალიური კლუბის ვებსაიტზე წერია, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი 7 იანვრიდან „წითელ-შავი“ ფორმით ითამაშებს. იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს დარჩება ბექემი სერია A-ში, მილანელთა ვებგვერდი არაფერს ამბობს, მაგრამ აქ შეგვიძლია თავად ფეხბურთელის განცხადების მიხედვით ვიმსჯელოთ. 33 წლის ინგლისელმა თქვა, რომ ამერიკაში „მეიჯორ ლიგ სოკერის“ ჩემპიონატის დაწყებისთვის დაბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალიიდან მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში აიბარგება. აღსანიშნავია, რომ ზსნენებულ ვებსაიტზე დევიდ ბექემისადმი მიმართვა სათაურით „დევიდ, კეთილი იყოს შენი მობრძანება“, ინგლისურად არის გამოქვეყნებული. იქ წერია:

„ის კვლავ ნიჭიერია, კვლავ მაღალი კლასისაა და „მილანი“ მას კვლავ ეთაყვანება. 33 წლის დევიდ ბექემს ვარჯიში და თამაში სურს. მას და ჩვენს შორის ოფიციალური შეთანხმება შედგა. მან „მილანი“ აირჩია, რადგან „მილანი“ მსოფლიოს ყველაზე წარმატებული კლუბია.

ინგლისელი კაცის, ჰერბერტ კიჩლინის დაარსებულ მილანურ კლუბს ინგლისელი ფეხბურთელი 1987 წლის შემდგ არ ჰყოლია. იმ წელიწადს „როსონერი“ რეი უილკინსმა და მარკ ჰიტლმან დატოვეს. ახლა ჩვენთან ბექემია“.

სანტერესოა, რომ დევიდ ბექემის ამერიკულმა კლუბმა „ლოს ანჯელეს გელექსიმ“ ამსწინათ ავსტრალიაში ტურნე გადალო, რადგან „მილანში“ „ბეკჰის“ დროებითი გამგზავრების საკითხებს აგვარებდა. საკუთრივ ვარსკვლავმა კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთო, „გელექსის“ ფანებს ჩემპიონატის დაწყებისთვის ჩასვლა აღუთქვა. იმას, რომ ბექემი მთთან ცოტა ხნით რჩება, არც მილანელთა დირექტორი უმბერტო განდინი უარყოფს, თუმცა იტალიელები არც იმას გამორიცხავენ, რომ მომავალში გეგმები შეიძლება შეიცვალოს და იმჭლისელი მათთან დიდი ხნით დარჩეს.

რატომ მოისურვა 33 წლის ვეტერანმა იტალიაში ვალასვლა და ბურთის სერია A-ში გორება? საქმე ის გახლავთ, რომ მას კარგ ფორმაში ყოფნა ინგლისის ნაკრებში მოსასვლელად სჭირდება. „ბანალურ“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ „ბეკჰს“ საფლეისოდ 107 კეპი აქვს, ეს კი 1966 წლის ჩემპიონის, ბობი მურის რეკორდზე ერთით ნაკლებია... იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელი ნაკრების მწვრთნელი ფაბიო კაპელოს მუდმივად თვალწინ ეყოლება და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, ვინ იცის, 2010 წელს დევიდს მსოფლიოს მრავე ჩემპიონატზე თამაშსაც ვამოკრავს ხელი.

შეგახსენებთ, რომ ფაბიო კაპელომ ამსწინათ ვანაცხადა, გუნდში მხოლოდ ის ფეხბურთელები მჭირდება, რომლებიც თავიანთ კლუბებში რეგულარულად და მაღალ დონეზე თამაშობენო, ამერიკა კი, ეჭერ ერთი, შორსაა, მაგრამ, რაც უფრო ძნიშნელოვანია, იქ ახლა შესვენებაა. შეგახსენებთ იმსაც, რომ ინგლისის ნაკრებს თებერვალში ესპანეთი აქვს დაგეგმილი აშუნაგური თამაში.

უმბერტო განდინი „ხელმეკრულება იმდენ ხანს იქნება ძალაში, რამდენ ხანსაც დევიდს სურს, თუმცა, ვფიქრობ, „ლოს ანჯელეს გელექსისადმი“ ერთგულება მას ორივე თვეში ამერიკაში დაბრუნებს. დევიდი ლოსანჯელესელთა მაღლობელია, ჩვენთან დროებით ჩამოსვლისა და ვარჯიშის ნება რომ დართეს. რასაკვირველია, თავისი მომავალის ამბავი საბოლოოდ თავად დევიდმა უწყის ყველზე კარგად, მაგრამ ვფიქრობ, ის, როგორც სიტყვის კაცი, მაინც „მეიჯორ ლიგ სოკერს“ დაუბრუნდება“.

ᲙᲐᲠᲣᲜᲐ ᲙᲔᲠᲓᲘᲐ

X ᲢᲣᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ

რეჯინა — ინტერი
იუვენტუსი — რომა

ᲮᲕᲐᲚ

პალერმო — კიევო
მილანი — ნაპოლი
უდინეზე — ჯენოა
ლაციო — კატანია
სიენა — ფიორენტინა
სამპდორია — ტორინო
კალიარი — ბოლონია
ატალანტა — ლეჩე

„ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘᲡ“ მეგოლე კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო გამოკეთდა და არეულ „რომასთან“ ითამაშებს. დელ პიერომ წინა ტურში „ბოლონიასთან“ მატჩი გამოტოვა.

ტურინელებს, შესაძლოა, მაორო კამორანეზე დაალლეთ და მის ადგილს მარკო მარკიონი დაიკავებს.

მასპინძლებს არ ეყოლებათ ჯანლუიჯი ბუფონი და კრისტან პოულსენი, ხოლო ნიკოლა ლეგროტაღლე და ზდენეკ გრიგერა ექსის სიტყვას ელიან.

ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ მოგებას „იუვემ“ სერია A-ში ორი გამარჯვებაც მიაყოლა, „რომამ“ კი, „ჩელსის“ ჩათვლით, მოკრით ოთხი თამაში წაგო.

აღსანიშნავია, რომ ლუსანო სპალეტის გუნდი ჩემპიონატის ბოლო ოთხ გასვლით მატჩში დამარცხდა.

მილანის „ინტერმა“ ზედიზედ ორ ტურში ორი უგოლო ფრე ითამაშა, მაგრამ დღეს სტუმრად „რეჯინას“ თუ მოუგებს, სულ მცირე ერთი დღით პირველ ადგილზე გადავა.

ჟოზე მაურინიუს გუნდს აშკარად დაეტყო ტრავმირებული ესტებან კამბიასოს გამოკლება, რომლის თამაში დღესაც საეჭვოა.

კვლავ არ იქნებიან სულეი ალი მუნტარი და ლუიგ ფიგუ, პატრიკ ვიეირა კი გამოუკმნრთელდა და ვგებ ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდეს.

„რეჯინას“ „ინტერი“ 2000 წლიდან არ დაუმარცხებია, ბოლო 13 მატჩში კი ერთ გოლზე მეტი ვერ გაუტანა.

„ატალანტამ“ სეზონში პირველი საშინაო თამაში გასულ კვირას „მილანთან“ წააგო, ხვალ კი „ლეჩეს“ დაუხვდება, რომელთანაც ბერგამოში 1994-ის მერე არ აგებს.

ბერგამოელებს ტრავმირებული გამთამაშებელი ლუკა ჩიგარინი და ანტონიო დიგოსტინო ვერ დაეხმარებიან, ხოლო „ლეჩეს“ ნახევარმცველი ჯულიანო ჯაკომაცი დისკვალიფიცირებულია.

17 მაისიდან შინ დაუმარცხებელი „სამპდორია“ „ტორინოს“ უმასპინძლებს.

ტურინელებს ბოლო ოთხ გასვლით მატჩში არ მოუგიათ და ბენუაში, შესაძლოა, დაშავებული ალტეს, სერენსა და კორინის გარეშე ითამაშონ.

სამპდორიელი კლაუდიო ბელეუჩი გამოკეთდა და, ალბათ, ანტონიო კასანოს შეტევაში შეუშმანაგდება.

„ფიორენტინას“ სიენაში კვლავ დაკალდება დისკვალიფიცირებული მეგოლე ალბერტო ჯენარდინი და ტრავმირებული ადრიან მუტუს თამაშიც საეჭვოა. რუმინელი ფორვარდი გუნდს წინა ტურში „ინტერთანაც“ ვერ დაეხმარა.

ჩეზარე პრანდელი შეტევაში ალბათ ჯამპაოლო პაკინის და სტეფან ოლეტჩის გაამწესებს. „ფიორენტი“ თებერვლის მერე გასვლაზე ფრე არ უთამაშია.

სტუმრად ბოლო სამი მატჩის წამგები „ბოლონია“ „კალიარის“ დამავეებული კრისტიან ამორიზოს, სერჯიო ვოლპის და დასჯილი დავიდ მარკინის გარეშე ეწვევა.

ჩემპიონატის ლიდერი და ბოლო ხუთი საშინაო (ყველა ტურნირში) მატჩის მომგები „უდინეზე“ „ჯენოას“ უმასპინძლებს, რომელსაც 20 აპრილის მერე სტუმრად არ უმარჯვია, ექვსიდან ხუთი მატჩი წააგო და ერთი გოლი შეაგდო.

უდინელთა მეგოლე ანტონიო დი ნატალე ტრავმის გამო ალბათ ვერ ითამაშებს.

„ჯენოამ“ „უდინეზე“ ბოლო ოთხი მატჩიდან ოთხჯერ ისე დამარცხა, რომ სამ გოლზე ნაკლები არ გაუტანია.

წელიწადზე მეტია, „კატანიას“ სტუმრად არ მოუგია და ასეთი გუნდს დაუხვდება რომში „ლაციო“.

მასპინძლებს მატუსალემი და მაწყრედნი დააკლდებიან, სტუმრებს კი ჯაკომი ტედესკო, ნიკოლე დიკა და კრისტიან სილვესტრი.

ბოლოსწინა ადგილზე მოკალათებული „კიევო“ სიცილიაზე „სალერმოს“ ესტუმრება, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო ერთ-ერთი მთავარი ნახევარმცველი — ფაბიო ლივერანი ვერ დაეხმარება.

„კიევომ“ პირველ ტურში „რეჯინას“ რომ მოუგო, მას შემდეგ გამარჯვების გემო დაავიწყდა.

მესამეადგილოსანი „მილანი“ მეორეზე მყოფ „ნაპოლის“ დაეკახება და მოგებით გადასწყვეტს შეიძლება. რონალდინიო სათამაშოდ იწევს.

„აწმეალოტის უნდა დაეკმაყოფილო, რომ ამ პრინციპულ მატჩში თამაშის ღირსი ვარ“ — თქვა ბრაზილელმა, ვინაც „სიენასთან“ ოთხშაბათის შეხვედრა გამოტოვა.

ნეაპოლელთა ნახევარმცველი მანუელე ბლაზი დისკვალიფიცირებულია.

ᲕᲐᲢᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

	ᲡᲣᲚ						ᲨᲘᲜ						ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲠᲓ					
1 უდინეზე	9	6	2	1	17:6	11	20	5	4	1	0	10:3	7	13	4	2	1	1	7:3	4	7
2 ნაპოლი	9	6	2	1	14:7	7	20	4	4	0	0	9:3	6	12	5	2	2	1	5:4	1	8
3 მილანი	9	6	1	2	14:7	7	19	5	4	0	1	11:4	7	12	4	2	1	1	3:3	0	7
4 ინტერი	9	5	3	1	13:5	8	18	4	3	1	0	5:2	3	10	5	2	2	1	8:3	5	8
5 ფიორენტინა	9	5	2	2	12:7	5	17	5	3	2	0	6:1	5	11	4	2	0	2	6:6	0	6
6 ლაციო	9	5	1	3	17:12	5	16	4	2	1	1	6:2	4	7	5	3	0	2	11:10	1	9
7 ჯენოა	9	5	1	3	12:8	4	16	5	5	0	0	11:4	7	15	4	0	1	3	1:4	-3	1
8 იუვენტუსი	9	4	3	2	9:7	2	15	4	2	1	1	4:3	1	7	5	2	2	1	5:4	1	8
9 კატანია	9	4	3	2	9:7	2	15	5	4	0	1	5:2	3	12	4	0	3	1	4:5	-1	3
10 პალერმო	9	4	1	4	9:9	0	13	4	3	0	1	6:3	3	9	5	1	1	3	3:6	-3	4
11 კალიარი	9	4	1	4	12:14	-2	13	4	3	0	1	7:5	2	9	5	1	1	3	5:9	-4	4
12 ლეჩე	9	2	4	3	9:11	-2	10	5	2	3	0	8:4	4	9	4	0	1	3	1:7	-6	1
13 სიენა	9	2	3	4	7:9	-2	9	4	2	2	0	4:2	2	8	5	0	1	4	3:7	-4	1
14 ტორინო	9	2	2	5	9:13	-4	8	5	2	0	3	7:8	-1	6	4	0	2	2	2:5	-3	2
15 სამპდორია	8	1	4	3	6:11	-5	7	4	1	3	0	4:2	2	6	4	0	1	3	2:9	-7	1
16 რომა	8	2	1	5	9:15	-6	7	4	2	1	1	6:5	1	7	4	0	0	4	3:10	-7	0
17 კალიარი	9	2	1	6	6:12	-6	7	4	1	1	2	3:5	-2	4	5	1	0	4	3:7	-4	3
18 ბოლონია	9	2	0	7	7:14	-7	6	5	1	0	4	4:8	-4	3	4	1	0	3	3:6	-3	3
19 კიევო	9	1	3	5	6:13	-7	6	5	1	2	2	5:7	-2	5	4	0	1	3	1:6	-5	1
20 რეჯინა	9	1	2	6	6:16	-10	5	4	1	2	1	5:4	1	5	5	0	0	5	1:12	-11	0

აბა, შოტლანდიაში მნახე, ვინა ვარ!

ᲓᲘᲔᲒᲝ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲛ 30 ოქტომბერს ორმოცდამერვე დაბადებისდღე იზეიმა. მარადონას დღეობა ამჯერად განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იმიტომ მოექცა, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი სადაცაა არგენტინის ნაკრების მწვრთნელი გახდება — გადაწყვეტილება ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში უკვე მიღებულია, თუმცა ოფიციალური კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, ეს, სავარაუდოდ, სამშაბათს მოხდება. ცნობილია მარადონას დებიუტის დღეც: ეს გახლავთ 19 ნოემბერი, როდესაც არგენტინელები შოტლანდიის ნაკრებთან ამხანაგურად შეხვდებიან.

„რაც შეიძლება მალე უნდა დავიწყოთ მუშაობა — გაუმეორა ახალმა თავკაცმა ჟურნალისტებს — შოტლანდიასთან ჩვენს განკარგულებაში მყოფი უძლიერესი ფეხბურთელებით უნდა ვითამაშოთ. მახსოვს, მენოტის მწვრთნელობისას სჭოთებს გოლი გავუტანე“.

თამაში, რომელიც მარადონამ გაიხსენა, 1979 წელს ჩატარდა. სესარ ლუის მენოტის გაწვრთნილმა არგენტინელებმა მაშინ 3:1 მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრების თავკაცის ვაკანსია თანამდებობიდან ალფიო ბასილეს გადადგომის შემდეგ გაჩნდა. კანდიდატი რამდენიმე გამოჩნდა, რომელთა შორის ყველაზე ნაკლებად მარადონას დანიშვნას ელოდნენ. კრიტიკოსები ახლაც დაჟინებით იმეორებენ, რომ მარადონა, როგორც მწვრთნელი, გამოუცდელია. მან ამ პროფესიაში 1990-იანი წლების შუაში ორჯერ მოსინჯა ძალა და მოთმინება ჯაშში 23 თამაშზე მეტის გასაძლებად არ ეყო. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ 23 თამაშიდან მისმა გუნდებმა („დეპორტივო მანდიუ“ და „რასინგი“) მხოლოდ სამი მოიგეს...

